inner

წესები და პირობები

საკონტაქტო ინფორმაცია:

შპს „ინერი ჯგუფი“ (შემდგომში ჩვენ, ჩვენი, ინერი, პლატფორმა, კომპანია)
საიდენტიფიკაციო კოდი: 405701842
იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ატენის ქ. 16 ა
ელ-ფოსტა: info@inner.ge

1. შესავალი:

- წინამდებარე დოკუმენტი ადგენს პლატფორმის გამოყენების წესებსა და პირობებს და პლატფორმის მომხმარებლის უფლებებს. ამასთანავე, მომხმარებლის მიერ შეკვეთის განთავსების შემთხვევაში, იგი წარმოადგენს ხელშეკრულებას მომხმარებელსა და ინერს შორის.
- ჩვენი პლატფორმა არის „ელექტრონული კომერციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შუალედური მომსახურების მიმწოდებელი. თუმცა, ცალკეულ შემთხვევაში ,,პლატფორმა” შეიძლება წარმოადგენდეს გამყიდველს (მოვაჭრეს), რის შესახებაც მითითებული იქნება კონკრეტული პროდუქტის/სერვისის აღწერილობაში.
- ჩვენი პლატფორმის მეშვეობით თქვენ შეგიძლიათ მიიღოთ წვდომა ჩვენი და მესამე პირების სერვისებზე, მათ შორის:
    - სპეციალისტების კონსულტაციები
    - სპეციალიზებული ფორუმები და საკომუნიკაციო პლატფორმები
    - ვიდეო კონტენტი და საგანმანათლებლო მასალები
    - სხვადასხვა პროფესიონალური მომსახურებები
    - სხვადასხვა ნივთები
    - პლატფორმაზე განთავსებული სხვა სერვისები
- პლატფორმაზე რეგისტრაციით, თქვენ ეთანხმებით ამ წესებს და პირობებს, თქვენი და ნებისმიერი მესამე პირის სახელით, ვინც იყენებს თქვენს ანგარიშს ინერის პლატფორმაზე.
- იმ შემთხვევაში, როდესაც ინერი შუამავლია, იგი პასუხისმგებელია პლატფორმის გაუმართაობით გამოწვეულ ზიანზე, რამაც გამოიწვია „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ და „ელექტრონული კომერციის შესახებ“ საქართველოს კანონებით გათვალისწინებული მომხმარებლის/მომსახურების მიმღების უფლებ(ებ)ის დარღვევა.
- იმ შემთხვევაში, როდესაც ინერი არ წარმოადგენს მოვაჭრეს, კონკრეტული გასაყიდი საქონლის აღწერაში მითითებული იქნება გამყიდველის/მოვაჭრის სახელწოდების, საიდენტიფიკაციო კოდის, მისამართის, ელექტრონული ფოსტის, ტელეფონის ნომრების და არსებობის შემთხვევაში მოვაჭრის მიერ შემუშავებული სხვა დამატებითი პირობების შესახებ ინფორმაცია, რომელთა მეშვეობითაც მომხმარებელს შეეძლება მოვაჭრესთან სწრაფი და ეფექტიანი კომუნიკაცია.
- პლატფორმაზე მითითებული მესამე პირების ჰიპერბმულები, ვებ-გვერდების ბმულები, არ ექვემდებარება პლატფორმის კონტროლს, ხოლო მათზე მოცემული პროდუქტებისა და შინაარსის სიზუსტე ან კანონთან შესაბამისობა არ წარმოადგენს პლატფორმის პასუხისმგებლობის საგანს. შესაბამისად, თქვენ ხართ პასუხისმგებელი მესამე პირების რესურსებზე/ვებ-გვერდზე არსებული წესებისა და პირობების გაცნობაზე.

- ინერს შეუძლია ნებისმიერ დროს და საკუთარი შეხედულებისამებრ შეცვალოს, დაამატოს, წაშალოს, შეაჩეროს ან შეწყვიტოს სერვისები, ასევე ნებისმიერი კონტენტი, სერვისი ან მასალა, რომელიც შეთავაზებულია ინერის პლატფორმაზე სერვისების ფარგლებში ან მათი მეშვეობით.

2. ძირითადი ტერმინების განმარტება:

წინამდებარე დოკუმენტში მოცემულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- **პლატფორმა** - ჩვენი პლატფორმა, კერძოდ აპლიკაცია INNER და ვებ-საიტი www.inner.ge.
- **მოვაჭრე** - საქონლის გამყიდველი პირი ან მომსახურების გამწევი პირი, "მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად. მოვაჭრის შესახებ დეტალური ინფორმაცია (იურდიული პირის დასახელება, მისამართი, ტელეფონის ნომერი და ელ.ფოსტის მისამართი) მოცემული საქონლის დეტალურ გვერდზე. იქ სადაც მითითებული არ არის მოვაჭრის ინფორმაცია, მას წარმოადგენს ინერი.
- **პროდუქტი ან/და საქონელი** - პლატფორმის საშუალებით შემოთავაზებული პროდუქცია ან მომსახურება.
- **მომხმარებელი** - ნებისმიერი პირი, რომელიც სარგებლობს წინამდებარე პლატფორმით, მათ შორის პლატფორმის ვიზიტორები, ფიზიკური პირები რომლებიც ათავსებენ შეკვეთას და მომსახურების მიმღებნი.
- **ანგარიში** (პროფილი) — ელექტრონული ჩანაწერი, რომელიც შეიქმნება მომხმარებლის მიერ რეგისტრაციის პროცესში, მოიცავს მის მიერ მოწოდებულ პერსონალურ და ტექნიკურ ინფორმაციას და გამოიყენება პლატფორმის სერვისებზე წვდომისთვის, მათი პერსონალიზებული გამოყენებისთვის და პლატფორმაზე მომხმარებლის იდენტიფიცირებისთვის.
- **შუამავალი** - შუამავლი მომსახურების მიმწოდებელი პირი "ელექტრონული კომერციის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.
- **ინერი -** პლატფორმის **მესაკუთრე და კანონიერი განმკარგავი შპს „ინერი ჯგუფი“ ს/ნ 405701842**

3. მომხმარებლის ანგარიში, განცხადებები და გარანტიები:

- ჩვენი მომსახურებით სრულყოფილად სარგებლობისთვის აუცილებელია პლატფორმაზე რეგისტრაცია და ანგარიშის (პროფილი) შექმნა. ანგარიშის გასახსნელად მიყევით პლატფორმაზე განთავსებულ ინსტრუქციას: მიუთითეთ მოთხოვნილი ინფორმაცია და საჭიროებისამებრ, გაიარეთ ვერიფიკაცია.
- **წინამდებარე წესებსა და პირობებზე თანხმობით, თქვენ ადასტურებთ და ეთანხმებით, რომ:**
    - ხართ ფიზიკური პირი, სრულწლოვანი და სრულად ქმედუნარიანი (არანაკლებ 18 წლის ასაკისა), არ იმყოფებით არანაირი იძულების, ზეწოლის ან ზემოქმედების ქვეშ და მოქმედებთ საკუთარი თავისუფალი ნების შესაბამისად;
    - არ ხართ ევროკავშირის მოქალაქე, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს რეზიდენტი და პლატფორმის სერვისების გამოყენებისას არ იმყოფებით ევროკავშირის ტერიტორიაზე;
    - არ ხართ ისეთი პირი, რომლის მიმართაც გამოყენებულია ეკონომიკური ან სავაჭრო სანქციები, ან რომლის მონაწილეობა ტრანზაქციებში აკრძალულია მოქმედი სანქციური კანონმდებლობით;
    - პლატფორმაზე რეგისტრაცია და მისი გამოყენება ან/და პროდუქტის შეძენა დაშვებულია მხოლოდ სრულწლოვანი პირებისთვის. შესაბამისად, არასრულწლოვნის მიერ შეკვეთის განთავსება ან/და პლატფორმის სერვისების გამოყენება განიხილება, როგორც მოქმედება მშობლის ან კანონიერი მეურვის თანხმობითა და მათ სახელზე, და პლატფორმა არ იქნება პასუხისმგებელი მსგავს შემთხვევებთან დაკავშირებით.
    - თქვენ მიერ წარმოდგენილი ყველა ინფორმაცია/მასალა არის და იქნება ზუსტი და არ არის/არ იქნება ყალბი, არაზუსტი, შეცდომაში შემყვანი ან/და ცილისმწამებლური. ასევე, არ განახორციელებთ სხვა ნებისმიერ ქმედებას, რომელიც აკრძალულია/შეზღუდულია მოქმედი კანონმდებლობით, ამ წესებით და პირობებით და კონფიდენციალობის პოლიტიკით ან/და არის უკანონო, დამაბნეველი, დისკრიმინაციული ან თაღლითური ან/და არღვევს ან ლახავს მესამე პირების უფლებებს.
    - ანგარიშის შექმნის დროს მითითებული მონაცემების სიზუსტეზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება მომხმარებელს.
    - ანგარიშის შექმნის დროს ან ჩვენი სერვისების გამოყენებისას ინერის პლატფორმაზე განათავსებთ მხოლოდ საკუთარ პერსონალურ ინფორმაციას, ხოლო მესამე პირების პერსონალური მონაცემების გამჟღავნების/პლატფორმაზე განთავსების შემთხვევაში, ადასტურებთ, რომ მას განათავსებთ მათი თანხმობის მოპოვების ან სხვა კანონიერი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში.

ინერი პასხუხისმგებელი არ არის თქვენ მიერ მითითებული მესამე პირების პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერებაზე.

- ინერი უფლებას იტოვებს დამატებით მოთხოვოს მომხმარებელს პლატფორმაზე მითითებული მონაცემების სიზუსტის დადასტურება.
- მომხმარებლის პერსონალური მონაცემები დამუშავდება ჩვენი კონფიდენციალურობის პოლიტიკისა და კანონმდებლობის შესაბამისად.
- ჩვენთან შესაძლებლობა გაქვთ რეგისტრაცია გაიაროთ და ანგარიში შექმნათ Google-ის ან Facebook-ის გამოყენებით. ასეთ შემთხვევაში, მომხმარებელი დამატებით უნდა დაეთანხმოს Google-სა და Facebook-ის მიერ მითითებულ წესებსა და პირობებს, რომლის დაცვაზეც პასუხისმგებლობა ეკისრება მომხმარებელს.
- აკრძალულია მომხმარებლის სახელში ნებისმიერი სახის შეურაცხმყოფელი ფრაზის მითითება.
- აკრძალულია ერთი მომხმარებლის/კლიენტის მიერ ერთზე მეტი ანგარიშის გახსნა/ფლობა/მართვა. თქვენ უფლებამოსილი ხართ ინერის პლატფორმაზე დარეგისტრირდეთ და მართავდეთ მხოლოდ 1 (ერთ) ანგარიშს. აღნიშნული წესის დარღვევის შემთხვევაში, ინერი უფლებამოსილია დაუყოვნებლივ დაბლოკოს ან წაშალოს მომხმარებლის ალტერნატიული ანგარიში.
- თქვენ პასუხისმგებლობას იღებთ თქვენი ანგარიშით განხორციელებულ ნებისმიერ ქმედებაზე. იმ შემთხვევაში, თუ პირი სხვისი სახელითა და მითითებით ახორციელებს წვდომას თქვენს ანგარიშზე, იგულისხმება, რომ მას გააჩნია საკმარისი უფლებამოსილება, იმოქმედოს თქვენი სახელით. პლატფორმა არ არის პასუხისმგებელი მესამე პირის მიერ თქვენს ანგარიშზე უნებართვო ან თქვენი ნებართვით განხორციელებულ წვდომისას დამდგარ ზიანზე.
- მომხმარებლის მიერ საქართველოს კანონმდებლობის ან წინამდებარე წესების და პირობების დარღვევის შემთხვევაში, ჩვენ უფლებას ვიტოვებთ გავაუქმოთ მომხმარებლის ანგარიში.

4. მოვაჭრის ვალდებულება:

- მოვაჭრე ვალდებულია მომხმარებელს გადასცეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისი პროდუქტი.
- საქონელი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამის საქონლად მიიჩნევა, თუ იგი შეესაბამება მოვაჭრის მიერ მომხმარებლისთვის მიწოდებულ აღწერას და მას აქვს იგივე თვისებები, რომლებიც მოვაჭრის მიერ მომხმარებლისთვის წარდგენილ საქონლის ნიმუშს ჰქონდა.
- მოვაჭრის მიერ მომხმარებლისთვის მიწოდებული აღწერის არარსებობის შემთხვევაში საქონელი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამის საქონლად მიიჩნევა, თუ იგი გამოსადეგია იმ მიზნისთვის, რომლის თაობაზედაც მომხმარებელმა მოვაჭრეს ხელშეკრულების დადების დროს აცნობა და რომელსაც ის დაეთანხმა.

5. პლატფორმის სერვისების გამოწერა:

- ავტორიზირებულ მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს პლატფორმაზე გამოიწეროს გარკვეული სერვისები და მიიღოს პლატფორმაზე მითითებული ბენეფიტები.
- გამოწერის გაუქმება მომხმარებელს შეუძლია ნებისმიერ დროს. ამასთანავე, გამოწერის გაუქმების შემდეგ მომხმარებელი სერვისის მიღებას შეძლებს მხოლოდ შეძენილი სერვისის ვადის ამოწურვამდე.
- პლატფორმა უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეცვალოს გამოწერის სერვისების დეტალები/ბენეფიტები, რის შესახებაც გეცნობებათ პლატფორმაზე განთავსებული ინფორმაციით.

6. სეანსის დაჯავშნა და გაუქმება:

- სეანსის დაჯავშნისთვის აირჩიეთ სასურველი სპეციალისტი, სეანსის ტიპი (დისტანციური ან ფიზიკური - დისტნანციური ტიპის არჩევა შესაძლებელია თუ სპეციალისტს მსგავსი სერვისი აქვს) და დრო.
- დაჯავშნის პროცესი დასრულებულად ითვლება მას შემდეგ, რაც თანხას გადაიხდით.
- როგორ მოიქცეთ თუ სასურველი სპეციალისტი თავისუფალი არ არის?
    - შეგიძლიათ სპეციალისტის დეტალურ გვერდზე არსებულ შესაბამის ღილაკზე დაჭერით მოახდინოთ კომენტარის დატოვება თუ, როდის გსურთ მომსახურების მიღება.
    - სეანსის თქვენ მიერ მითითებულ დროს დაჯავშნას შეძლებთ თუ სპეციალისტი დაადასტურებს თქვენ მოთხოვნას
    - ამასთანავე, სპეციალისტმა შესაძლოა თავად შემოგთავაზოთ თავისუფალი დრო სეანსისთვის. აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას მიიღებთ აპლიკაციაში ან/და მოკლეტექსტური შეტყობინებით.
    - სეანსი დაჯავშნილად ჩაითვლება თუ სპეციალისტი დაადასტურებს თქვენ მოთხოვნას, ან თქვენთვის მისაღები იქნება სპეციალისტის მიერ

შემოთავაზებული დროები და დაჯავშნით სპეციალისტთან შეთანხმებულ ახალ დროს.
    - თუ სპეციალისტი არ დაადასურებს თქვენ მოთხოვნას ან არ შემოგთავაზებთ ახალ დროს, თქვენი მოთხოვნა ავტომატურად გაუქმდება.
- სეანსის გაუქმება და თანხის დაბრუნება
    - დაჯავშნილი სეანსის არაუმცირეს სეანსის დრომდე 48 საათით ადრე გაუქმების შემთხვევაში ჯავშანში გადახდილი თანხა დაგიბრუნდებათ სრულად, არაუმეტეს 5 სამუშაო დღის ვადაში.
    - სეანსამდე 48 საათის შემდეგ ჯავშანის გაუქმების შემთხვევაში ჯავშანში გადახდილი თანხა დაბრუნებას არ ექვემდებარება.

7. ფორუმი:

- მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს მისთვის სასურველი ფორუმის საკითხის გახსნისთვის მიმართოს პლატფორმას. პლატფორმა განიხილავს მომართვას და დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში შექმნის მომხმარებლის მიერ დაფიქსირებული ფორუმის შესაბამის ჯგუფს.
- პლატფორმა მაქსიმალურად გაითვალისწინებს მომხმარებლის სურვილს, თუმცა იგი არ არის ვალდებული დააკმაყოფილოს მომხმარებლის მოთხოვნა.
- ფორუმში მონაწილეობა ნებაყოფლობითია, თუმცა მონაწილეობის შემთხვევაში გაითვალისწინეთ ფორუმის სავალდებულო წესები:
    - აკრძალულია უცენზურო, შეურაცხმყოფელი სიტყვების გამოყენება;
    - ნებისმიერი სახით მესამე პირების დისკრიმინაცია;
    - ნებისმიერი სახით მესამე პირებზე ფსიქოლოგიური ზეწოლა ან მესამე პირებისგან მათი სურვილის გარეშე ინფორმაციის გამოთხოვა/მიღება;
    - პერსონალური მონაცემების (ტელეფონის ნომერი, პირადი ნომერი, ანგარიშის ნომერი, მისამართი, საბანკო ბარათის მონაცემები და სხვ.) განთავსება ან მოთხოვნა;
    - ინფორმაციის/მასალის გავრცელება, რომელიც არღვევს კანონმდებლობას, შეიცავს ცილისწამებას, საზიანო, მუქარის შემცველ, შეურაცხმყოფელ, შევიწროების გამომწვევ, ღირსების შემლახველ, უხეშ, სექსუალურად გამოხატულ, არასათანადო, სიძულვილის მომტან ან რასობრივი, ეთნიკური ან სხვა თვალსაზრისით შეურაცხმყოფელ ან/და დისკრიმინაციულ შინაარსს;
    - ინფორმაციის/მასალის გავრცელება, რომელიც წარმოადგენს რეკლამას ან შეთავაზებას ნებისმიერი პროდუქტისა თუ მომსახურების, რომელიც არ არის პლატფორმასთან წინასწარ წერილობით შეთანხმებული;
    - ინფორმაციის/მასალის გავრცელება, რომელიც არის ყალბი, შეცდომაში შემყვანი ან წარმოადგენს უსამართლო ან მატყუარ სავაჭრო პრაქტიკას;
    - ინფორმაციის/მასალის გავრცელება, რომელიც ხელს უწყობს ალკოჰოლის, თამბაქოს ან სხვა უკანონო ნივთიერებების გამოყენებას ან/და გავრცელებას;
- პლატფორმა უფლებამოსილია ნებისმიერ დროს გააუქმოს/წაშალოს ფორუმი მომხმარებლის თანხმობის გარეშე;
- პლატფორმა უფლებამოსილია ნებისმიერ დროს წაშალოს ფორუმში მომხმარებლის მიერ განთავსებული ნებისმიერი კონტენტი/ტექსტი/მასალა.

8. ნივთის შეკვეთა:

- შეძენილი საქონლის მიმღები/ჩამბარებელი შეიძლება იყოს თავად შემძენი (მომხმარებელი) პირადად ან მომხმარებლის მიერ მითითებული ნებისმიერი სხვა პირი.
- თუ შეკვეთას არ იბარებთ პირადად და გსურთ, რომ თქვენს ნაცვლად იგი ჩაიბაროს სხვა პირმა, ასეთ შემთხვევაში, თქვენ უნდა მოგვაწოდოთ (კურიერს/პლატფორმას) ჩამბარებლის პირადი მონაცემები, კერძოდ, სახელი, გვარი, პირადი ნომერი და მისამართი, რათა შევძლოთ ჩამბარებლის სწორად იდენტიფიცირება და საქონლის ჩაბარება.
- მომხმარებლის/მომსახურების მიმღების მიერ შეკვეთის ელექტრონული ფორმით განთავსებისას, მოვაჭრე შეკვეთის მიღებას ადასტურებს ელექტრონული საშუალებით. თუმცა, შეკვეთის დამუშავების დროს (არაუმეტეს 3 სამუშაო დღე) შესაძლოა აღმოჩნდეს რომ გამყიდველს/მოვაჭრეს არ აქვს თქვენ მიერ შეკვეთილი საქონელი მარაგში. ჩვენ ვიტოვებთ უფლებამოსილებას მივიღოთ გადაწყვეტილება ზემოაღნიშნული მიზეზით თქვენი შეკვეთის გაუქმებაზე და რომლის თაობაზეც დაუყოვნებლივ გაცნობებთ.
- პლატფორმაზე გამოცხადებული ფასდაკლებებისა და სპეციალური შეთავაზებების დროს, კონკრეტული საქონლის ხელმისაწვდომობისა და მარაგში არსებობის შესახებ ინფორმაცია მოცემულია პლატფორმაზე. გაზრდილი მოთხოვნიდან გამომდინარე, ჩვენ ვცდილობთ მარაგების რეალურ დროში განახლებას, თუმცა შესაძლოა დაფიქსირდეს შემთხვევა, როდესაც მოთხოვნა აღემატება საქონლის მარაგში დარჩენილ რაოდენობას. თუკი თქვენ მიერ შეკვეთის განთავსებისას აღმოჩნდა, რომ კონკრეტული

ფასდაკლებული ნივთის მარაგი ამოიწურა, აღნიშნულის შესახებ შეგატყობინებთ შეკვეთის განთავსებიდან 2 სამუშაო დღის განმავლობაში.

- პლატფორმაზე მითითებული საქონლის რაოდენობა მუდმივად ცვალებადია და თქვენს მიერ მისი შეძენის მომენტში შესაძლოა იგი მარაგში აღარ იყოს. გთხოვთ, საქონლის შეძენამდე დაგვიკავშირდით კომუნიკაციის თავში განსაზღვრული პლატფორმის საკომუნიკაციო არხზე. ჩვენ გადავამოწმებთ გამყიდველთან თქვენი სასურველი საქონლის მარაგში არსებობის ფაქტს ან დაუკავშირდით გამყიდველს საქონელთან დაკავშირებით სწორი და უახლესი ინფორმაციის მისაღებად.
- ნივთის შეკვეთის გაუქმება შეგიძლიათ შემდეგ შემთხვევებში:
    - შეკვეთის დაფიქსირებიდან 2 საათის განმავლობაში, თუ შეკვეთის მიტანის/ჩაბარების ვადად განსაზღვრულია შეკვეთის (იმავე) დღე.
    - შეკვეთის დაფიქსირებიდან მომდევნო დღის 12:00 სთ-მდე, თუ შეკვეთის მიტანის/ჩაბარების ვადად განსაზღვრულია 1 ან მეტი სამუშაო დღე.
- ჩვენ ვსარგებლობთ საკურიერო მომსახურებით, იმისთვის რათა დროულად მოგაწოდოთ შეკვეთა. ქვემოთ მითითებული წესები მოქმედებს მხოლოდ ჩვენს სატრანსპორტო მომსახურებაზე.
- როცა ტრანსპორტირებას ჩვენ ვახდენთ, ტრანსპორტირების დროს ნივთის დაზიანებაზე პასუხისმგებლობა გვეკისრება ჩვენ.
- შიდა პოლიტიკიდან გამომდინარე, თქვენ არ გაქვთ შესაძლებლობა თავად წაიღოთ შეკვეთა, თუმცა გამონაკლის შემთხვევებში, შეკვეთის გაფორმებამდე მითითებული იქნება მოვაჭრისგან წაღების ან მოვაჭრესთან შეხვედრით შეკვეთის მიღების შესაძლებლობა.
- თბილისში შეკვეთის ჩაბარება ხორციელდება 1-დან 5 სამუშაო დღის ვადაში. რეგიონებში კი - 2-დან 10 სამუშაო დღის ვადაში, შეკვეთის მიღების სავარაუდო თარიღი შეგიძლიათ იხილოთ შეკვეთის გვერდზე, შეკვეთის განთავსებამდე.
- იშვიათ შემთხვევაში, შეიძლება დაგვჭირდეს იმაზე მეტი დრო (მაგრამ არაუმეტეს 15 სამუშაო დღისა) შეკვეთის ჩასაბარებლად, ვიდრე ეს განსაზღვრულია წინამდებარე წესებით და პირობებით ან შეკვეთის გაფორმების დროს პლატფორმაზე არსებული ინფორმაციით. აღნიშნულის თაობაზე შეკვეთის დამუშავების დასრულებისას შეგატყობინებთ ჩვენი თანამშრომლები.
- შეკვეთის ჩაბარების ზუსტ თარიღს გაცნობებთ შეკვეთის ჩაბარებამდე მინიმუმ 1 დღით ადრე.
- შეკვეთის ჩაბარების დღეს, კურიერი წინასწარ დაგიკავშირდებათ და შეგითანხმდებათ ნივთის მიწოდების დროისა და ადგილის შესახებ, მოვა თქვენს მისამართზე და შეგხვდებათ ნივთის გადმოსაცემად.
- გთხოვთ, შეამოწმოთ ნივთი მისი ჩაბარების დროს და იმ შემთხვევაში თუ საქონელს აქვს ვიზუალური ნაკლი, არ ჩაიბაროთ იგი და დაუყონებლივ დაგვიკავშირდით ჩვენს საკომუნიკაციო არხებზე.

9. ანაზღაურება:

- შეკვეთის/სერვისის ღირებულება შეგიძლიათ გადაიხადოთ რამდენიმე გზით: საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი პლასტიკური ბარათით გადახდა; Google Pay; Apple Pay. გადახდის კონკრეტული მექანიზმები მითითებულია პლატფორმაზე და სხვადასხვა პერიოდში შეიძლება განსხვავდებოდეს ზემოთ მითითებულისგან.
- ზოგიერთი შეკვეთის ღირებულების დაფარვა შეგიძლიათ განვადებით. ამისთვის მომხმარებელი უნდა მიჰყვეს ინსტრუქციას. მომხმარებელსა და პარტნიორ ბანკს შორის ურთიერთობა რეგულირდება ბანკთან გაფორმებული ხელშეკრულებით.

10. ტრანსპორტირება:

- თქვენ მიერ საქონლის შეძენის შემდეგ შეკვეთის ტრანსპორტირებასა და თქვენთვის მოწოდებას მოვახდენთ ჩვენ, ჩვენი თანამშრომლების ან პარტნიორი საკურიერო კომპანიების დახმარებით.
- საკურიერო მომსახურების საფასური დგინდება ინდივიდუალურად, მომხმარებლის მიერ შეკვეთის გაფორმებამდე, რომელსაც ანაზღაურებს მომხმარებელი.

11. ინერის მიერ შეკვეთის გაუქმება:

- პლატფორმა უფლებამოსილია, ცალმხრივად, მომხმარებლის მიერ წინამდებარე წესების და პირობების დარღვევის, ტექნიკური შეფერხების არსებობისას, მოვაჭრის მოთხოვნით - საქონლის მარაგში არ არსებობისას, მომხმარებლის მოთხოვნით, მომხმარებლის მიერ შეკვეთის არ ჩაბარების და წინამდებარე წესებით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში მოახდინოს მომხმარებლის მიერ განხორციელებული ტრანზაქციის/ოპერაციის/შეკვეთის ცალმხრივად გაუქმება, რომლის თაობაზეც დაუყონებლივ აცნობებს მომხმარებელს.
- მომხმარებლის მიერ განხორციელებული/დაფიქსირებული ტრანზაქციის/შეკვეთის პლატფორმის მხრიდან ამ თავში განსაზღვრული საფუძვლით გაუქმების შემთხვევაში,

პლატფორმა ვალდებულია მომხმარებელს, იმავე საბანკო ანგარიშზე და იმავე ოდენობით დაუბრუნოს (თუ მხარეები სხვა მეთოდზე არ შეთანხმდებიან), მომხმარებლის მიერ გადახდილი თანხა.

12. უპირობოდ დაბრუნების პოლიტიკა:

- თქვენ უფლება გაქვთ ყოველგვარი საფუძვლის მითითების გარეშე უარი თქვათ დისტანციურ ან სარეწს გარეთ დადებულ ხელშეკრულებაზე და უკან დააბრუნოთ შეძენილი საქონელი მათი ჩაბარებიდან 14 კალენდარული დღის ვადაში. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, თქვენ კარგავთ უპირობოდ დაბრუნების უფლებას.
- საქონელის/პროდუქტის დაბრუნების ინიცირებისთვის აუცილებელია შეავსოთ დაბრუნების ფორმა, რომელიც განთავსებულია შეკვეთის ისტორიის გვერდზე.
- იქ სადაც ჩვენ არ ვართ მოვაჭრე, ასეთ შემთხვევაში, ჩვენ ვიღებთ პასუხისმგებლობას თქვენ მიერ დაფიქსირებული მოთხოვნა ვაცნობოთ გამყიდველს/მოვაჭრეს და მისი პასუხი გაცნობოთ თქვენ. გამყიდველი/მოვაჭრე ერთპიროვნულად არის პასუხისმგებელი მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე.
- დაბრუნების ინიცირების შემდეგ ნივთი არაუმეტეს 7 კალენდარული დღის ვადაში მოგვაწოდეთ საფოსტო გზავნილით მისამართზე: ქ. თბილისი, ატენის ქ. 16 ა
- საქონლის დაბრუნებისას აუცილებელია საქონელს თან ახლდეს თქვენთვის საქონლის ჩაბარების დროს კურიერის/მოვაჭრის მიერ გადმოცემული/თანდართული ყველა თანმხლები ნაწილები და დოკუმენტი.
- გამყიდველი (მოვაჭრე) ვალდებულია ნივთის უკან დაბრუნების შეტყობინების მიღებიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში, უკან დაუბრუნოს მომხმარებელს მის მიერ გადახდილი თანხა. მოვაჭრეს უფლება აქვს, უარი თქვას თანხის დაბრუნებაზე მანამ, სანამ საქონელს არ დაიბრუნებს ან მომხმარებლისგან არ მიიღებს საქონლის გაგზავნის დამადასტურებელ დოკუმენტს, იმის მიხედვით, რომელიც უფრო ადრე განხორციელდება.
- თანხის ანაზღაურება მოხდება გადახდის იმავე საშუალებებით, რომლებიც მომხმარებელმა გამოიყენა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მომხმარებელი გადახდის სხვა საშუალების გამოყენებაზე თანხმობას განაცხადებს.
- მომხმარებლის მიერ დისტანციურ ხელშეკრულებაზე უარის თქმა ავტომატურად იწვევს დაკავშირებული ხელშეკრულებიდან მის გასვლას და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას.

13. დაბრუნების უფლების/ინიცირების შეზღუდვა:

- მომხმარებელს არ აქვს უფლება, უარი თქვას ხელშეკრულებაზე და დააბრუნოს პროდუქტი:

  ა) მოვაჭრემ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება სრულად გასწია, მან მომსახურების გაწევა მომხმარებლის წინასწარი თანხმობით დაიწყო და მომხმარებელმა იცოდა, რომ მომსახურების სრულად მიღების შემთხვევაში დაკარგავდა ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას;

  ბ) საქონელი ან მომსახურება მომხმარებლის ინდივიდუალური შეკვეთით არის დამზადებული/შესრულებული;

  გ) მიწოდებული საქონელი მალფუჭებადია ან მას მოკლე ვარგისობის ვადა აქვს;

  დ) მიწოდებული საქონელი მიწოდების დროს, მისი მახასიათებლებიდან გამომდინარე, განუყოფლად შეერწყა სხვა საქონელს;

  ე) დალუქული აუდიო- ან ვიდეოჩანაწერი ან პროგრამული უზრუნველყოფა და მისი ლუქი მიწოდების შემდეგ დაირღვა;

  ვ) ჟურნალ-გაზეთები ან სხვა სახის პერიოდული გამოცემა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მათი/მისი მიწოდების საფუძველი სააბონენტო ხელშეკრულებაა;

  ზ) მომხმარებელს ციფრული შინაარსი მიეწოდა არამყარი მატარებლით და ხელშეკრულების შესრულება მომხმარებლის წინასწარი თანხმობით დაიწყო.

  თ) სპორტული ან კულტურული ღონისძიების ბილეთები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საქონლის გვერდზე მითითებულია დაბრუნების შესაძლებლობა.

  ი) 30 ლარამდე ღირებულების საქონელი

  კ) შეფუთვა დაზიანებული ან/და გახსნილი ნივთი

  ლ) კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში.

14. განვადებით შესყიდული პროდუქტის უპირობოდ დაბრუნების წესები:

- განვადებით შესყიდული პროდუქციის დაბრუნება ან/და განვადების გაუქმება შესაძლებელია მხოლოდ განვადების სრულად გაუქმების შემთხვევაში.

15. აქციები/ფასდაკლებები:

- ჩვენ პერიოდულად შესაძლოა შემოგთავაზოთ აქცია/ფასდაკლებები (მარკეტინგული აქტივობები).

- აქციით/ფასდაკლებით სარგებლობა შეუძლიათ მხოლოდ რეგისტრირებულ მომხმარებლებს.
- მარკეტინგული აქტივობების/აქციის პირობები განისაზღვრება ინდივიდუალურად.
- მომხმარებელი აქციაში ჩართვამდე დეტალურად უნდა გაეცნოს მის პირობას პლატფორმის საშუალებით, ამასთანავე მომხმარებელმა მარკეტინგულ აქტივობაში ჩართვის შემთხვევაში უნდა დაიცვას ამ აქტივობის/აქციის პირობები.
- აქციაში ჩართვა ავტომატურად ნიშნავს, რომ მომხმარებელი ეთანხმება მას.

16. ანგარიშის (პროფილის) დახურვა:

- თქვენ გაქვთ უფლება ნებისმიერ დროს მოითხოვოთ თქვენი ანგარიშის (პროფილის) დახურვა. ამისათვის, ჩვენი პლატფორმიდან ანგარიშის დახურვის ღილაკზე დაჭერით მოითხოვოთ თქვენი ანგარიშის (პროფილის) დახურვა.
- ანგარიშის დახურვის მოთხოვნამდე, გთხოვთ, დარწმუნდეთ, რომ შესრულებულია თქვენი ყველა ფინანსური და სხვა სახის ვალდებულება და არ გაქვთ გადაუხდელი დავალიანება პლატფორმის, გამყიდველის ან მომსახურების მიმწოდებლის მიმართ.
- მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 30 სამუშაო დღის ვადაში, პლატფორმა განახორციელებს ანგარიშის (პროფილის) დახურვას და შესაბამისი ინფორმაციის მოწოდებას.

1.1. დახურულ ანგარიშზე არსებული პერსონალური მონაცემების რეგულირება:

- პერსონალური მონაცემების წაშლის უფლება რეგულირდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.
- ინერი პერსონალური მონაცემების წაშლას ახორციელებს შესაბამისი ტექნიკური საშუალებებით, როგორიცაა დაშიფვრა და ფსევდონიმიზაცია. მომხმარებელმა, თავის მხრივ, ვალდებულია გაასუფთაოს ქეში, ქუქი ფაილები და ისტორია იმ ბრაუზერებში, რომლებიც გამოყენებული იყო პლატფორმაზე წვდომისთვის. ასევე, მომხმარებელმა უნდა წაშალოს პლატფორმის აპლიკაცია იმ მოწყობილობებიდან, რომლებზეც ის დაყენებულია.

1.2. ანგარიშის (პროფილის) დახურვისა და პერსონალური მონაცემების წაშლის საგამონაკლისო შემთხვევები:

- ინერი იტოვებს უფლებას არ დახუროს ან არ წაშალოს ანგარიში ან/და მასთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემები შემდეგ შემთხვევებში:
    - არსებობს მოუგვარებელი ფინანსური ვალდებულება პლატფორმის, გამყიდველის ან მომსახურების მიმწოდებლის მიმართ;
    - მონაცემები საჭიროებელია თაღლითური, უკანონო ან საეჭვო ქმედებების გამოვლენის, პრევენციის, გამოძიების ან სამართლებრივი რეაგირების მიზნით;
    - მონაცემები აუცილებელია მოქმედი კანონმდებლობის, მარეგულირებელი მოთხოვნებისა და სამართლებრივი ვალდებულებების შესრულებისთვის;
    - მონაცემები საჭიროა სარჩელებზე რეაგირებისა და დავების გადაწყვეტისთვის;
    - არსებობს კომპეტენტური სახელმწიფო ან ადმინისტრაციული ორგანოს შესაბამისი ბრძანება/გადაწყვეტილება მონაცემების შენახვის შესახებ.
- იმ შემთხვევაში, თუ მონაცემების წაშლა ვერ ხორციელდება ზემოაღნიშნული ან სხვა კანონით გათვალისწინებული მიზეზის გამო, მონაცემები შენახული იქნება ინერის **კონფიდენციალურობის პოლიტიკის** შესაბამისად.

17. ინტელექტუალური საკუთრება:

- მომხმარებელი ვალდებულია, არ დაარღვიოს პლატფორმის ან მესამე პირის ინტელექტუალური საკუთრების უფლებები. ინერის პლატფორმაზე განთავსებული ნებისმიერი სახის კონტენტი — მათ შორის და არამხოლოდ, ლოგოები, პიქტოგრამები, გრაფიკული ელემენტები, სურათები, გამოსახულებები, აუდიოვიზუალური მასალა, პროგრამული უზრუნველყოფა, პლატფორმის დიზაინი და სტრუქტურა, პატენტები, სასაქონლო და მომსახურების ნიშნები, პროდუქტებისა და სერვისების აღწერები, ინერის მიერ შექმნილი ან/და პლატფორმაზე განთავსებული ვიდეო რგოლები და სხვა ვიზუალური/ინტერაქტიული კონტენტი, სტატიები და ტესტები, — წარმოადგენს ინერის ან მისი ლიცენზიის მიმწოდებლების ინტელექტუალურ საკუთრებას და არ უნდა იქნას გამოყენებული, დამუშავებული, დაკოპირებული, გავრცელებული ან/და გამოქვეყნებული (მათ შორის სოციალურ მედიაში) ინერის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.
- ინერის თანხმობა არ არის საჭირო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული კონტენტის გამოყენება ხდება არაკომერციული, პირადი მიზნებისთვის და იმ შემთხვევებში, როდესაც კანონით ან შესაბამისი საერთაშორისო რეგულაციებით არ არის გათვალისწინებული წინასწარი ნებართვა
- პლატფორმა შეიძლება მომხმარებლებს სთავაზობდეს პლატფორმაზე კონტენტის გამოქვეყნების შესაძლებლობას სტატიების, კომენტარების, ფოტოების, ვიდეოების, ნამუშევრების და სხვა მასალების სახით (ერთობლივად, „მომხმარებლის მასალები“).

მომხმარებლის მიერ მასალების ინერის პლატფორმაზე განთავსებით, თქვენ ინერს ანიჭებთ შეუზღუდავ, ჰონორარის გარეშე, მუდმივ, შეუქცევად და სრულად ქველიცენზირებად უფლებას გამოიყენოს, გაამრავლოს, შეცვალოს, მოახდინოს ადაპტირება, გამოაქვეყნოს, თარგმნოს, შექმნას წარმოებული ნამუშევრები, გაავრცელოს, შეასრულოს და აჩვენოს ასეთი მომხმარებლის მასალები მთელ მსოფლიოში ნებისმიერ მედიასა და ფორმატში, იქნება ეს ამჟამად ცნობილი თუ მომავალში შემუშავებული, ნებისმიერი მიზნით, კომპენსაციის გადახდის ან მისი წყაროს მითითების გარეშე. თქვენ ასევე ეთანხმებით, რომ ინერს შეუძლია გამოიყენოს ნებისმიერი იდეა, კონცეფცია ან ნოუ-ჰაუ, რომელსაც თქვენ ან თქვენი სახელით მოქმედი პირები აწვდიან ინერს, თქვენს წინაშე რაიმე ფულადი ან სხვა ვალდებულების გარეშე.

18. სამედიცინო რჩევის არ არსებობა და პასუხისმგებლობის გამორიცხვა:

- ჩვენ პლატფორმაზე შეიძლება შემოგთავაზოთ ჯანმრთელობის, ფიტნესის, საკვების და სხვა ასეთი სახის ინფორმაცია, ასევე თამაშები, ვიდეოები, ფორუმები, მაგრამ ასეთი ინფორმაცია განკუთვნილია მხოლოდ საგანმანათლებლო და საინფორმაციო მიზნებისთვის. ჩვენ პლატფორმაზე არსებული ინფორმაცია არ გადმოსცემს და არ არის განკუთვნილი სამედიცინო რჩევის მოწოდებითვის და არ წარმოადგენს მედიცინის პრაქტიკას. თქვენ არ უნდა დაეყრდნოთ ამ ინფორმაციას როგორც პროფესიონალურ სამედიცინო რჩევის შემცვლელს, დიაგნოზს ან მკურნალობას. ინერი არ არის პასუხისმგებელი მომხმარებლის ნებისმიერ ქმედებაზე ან უმოქმედობაზე რომელიც გამოწვეულია პლატფორმაზე წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე.
- მესამე პირების სერვისების მიწოდებისას, ჩვენ ვმოქმედებთ მხოლოდ შუამავლის როლში. ჩვენ არ ვართ პასუხისმგებელი:
    - მესამე პირის მიერ გაწეული მომსახურების ხარისხზე ან შედეგებზე
    - პროფესიონალების კვალიფიკაციის ან გამოცდილების სიზუსტეზე
    - ამ სერვისების გამოყენებით წარმოშობილ ნებისმიერ ზიანზე ან შედეგზე

19. აკრძალული ქმედებები და მისი შედეგები:

- **პლატფორმებზე მკაცრად აკრძალულია შემდეგი ტრანზაქციის/ქმედების განხორციელება:**
    - ინერის პლატფორმის წესების დარღვევით სხვადასხვა ქმედებების/ტრანზაქციების განხორციელება.
    - მარკეტინგული აქტივობებში ჩართვის/მონაწილეობის პირობების დარღვევა.
    - ინფორმაციის/მასალის გავრცელება, რომელიც არღვევს კანონმდებლობას, შეიცავს ცილისწამებას, საზიანო, მუქარის შემცველ, შეურაცხმყოფელ, შევიწროების გამომწვევ, ღირსების შემლახველ, უხეშ, სექსუალურად გამოხატულ, არასათანადო, სიძულვილის მომტან ან რასობრივი, ეთნიკური ან სხვა თვალსაზრისით შეურაცხმყოფელ ან/და დისკრიმინაციულ შინაარსს;
    - ინფორმაციის/მასალის გავრცელება, რომელიც წარმოადგენს რეკლამას ან შეთავაზებას ნებისმიერი პროდუქტისა თუ მომსახურების, რომელიც არ არის პლატფორმასთან წინასწარ წერილობით შეთანხმებული;
    - ინფორმაციის/მასალის გავრცელება, რომელიც არის ყალბი, შეცდომაში შემყვანი ან წარმოადგენს უსამართლო ან მატყუარ სავაჭრო პრაქტიკას;
    - ინფორმაციის/მასალის გავრცელება, რომელიც ხელს უწყობს ალკოჰოლის, თამბაქოს ან სხვა უკანონო ნივთიერებების გამოყენებას ან/და გავრცელებას;
    - მესამე პირების პირად ცხოვრებაში უკანონოდ ჩარევა;
    - მესამე პირების პერსონალური მონაცემების ნებისმიერი სახით დამუშავება მათი თანხმობის ან კანონიერი საფუძვლის გარეშე;
    - პლატფორმის ან/და მესამე პირების საავტორო და მომიჯნავე უფლებების დარღვევა. ნებართვის გარეშე მესამე პირების სასაქონლო ნიშნების გამოყენება და სხვ.
    - აკრძალულია ოპერაცია/ტრანზაქცია/ქმედება, რომელიც არღვევს საქართველოს ან/და საერთაშორისო კანონმდებლობით დადგენილ მოქმედ მოთხოვნებს.
    - ფორუმის წესების დარღვევა;

20. აკრძალული ქმედებების შედეგები და პლატფორმის უფლებები:

- ჩვენ შესაძლოა ამ თავში მითითებული აკრძალული ქმედებები შევცვალოთ საჭიროებისამებრ. იმ შემთხვევაში, თუ **თქვენ** განახორციელებთ, ან შეეცდებით განახორციელოთ ამ თავში მითითებული ამკრძალავი ოპერაცია/ქმედება ან საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული ნებისმიერი სხვა ქმედება, ჩვენ უფლება გვაქვს: შევწყვიტოთ ან შევაჩეროთ **თქვენ მიერ** განხორციელებული ოპერაცია/ტრანზაქცია/ქმედება ან/და ვაცნობოთ სამართალდამცავ ორგანოებს განხორციელებული ოპერაციის შესახებ; ან/და წავშალოთ თქვენ მიერ განთავსებული

მასალები/კონტენტი ან/და შევწყვიტოთ წინამდებარე ხელშეკრულება და ჩვენსა და თქვენს შორის არსებული დამატებითი შეთანხმება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან/და; დავბლოკოთ/წაშალოთ პლატფორმაზე არსებული **თქვენი** ანგარიში (პროფილი) ან/და მოგთხოვოთ თქვენი ქმედებით დამდგარი ზიანის ანაზღაურება ან წესების დარღვევით მიღებული სარგებლის ჩვენთვის დაბრუნება.

21. კანონისმიერი გარანტია:

- თუ საქონელი ნაკლის მქონე აღმოჩნდა, მომხმარებელს უფლება აქვს, ~მოვაჭრეს მოსთხოვოს ნაკლის აღმოფხვრა (საქონლის უსასყიდლოდ შეკეთება ან შეცვლა, ფასის შემცირება) ან გავიდეს ხელშეკრულებიდან.
- საქონლის შეკეთება და შეცვლა მომხმარებლის პირველი რიგის უფლებებია. მომხმარებელს უფლება აქვს, მოვაჭრეს მოსთხოვოს საქონლის უსასყიდლოდ შეკეთება ან შეცვლა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს, საქონლის ბუნებიდან გამომდინარე, შეუძლებელია ან არათანაზომიერ ან შეუსაბამოდ დიდ ხარჯს მოითხოვს.
- საქონელი შეკეთებული ან შეცვლილი უნდა იქნეს გონივრულ ვადაში (მაქსიმუმ 30 კალენდარული დღე), ისე, რომ მომხმარებელს არ შეექმნას მნიშვნელოვანი შეფერხება საქონლის ბუნებისა და იმ მიზნის გათვალისწინებით, რომლისთვისაც მან ეს საქონელი შეიძინა.
- საქონლის უსასყიდლოდ შეკეთება ან შეცვლა გულისხმობს გამყიდველის (მოვაჭრის) მიერ ყველა ხარჯის (მათ შორის, ფოსტის, სამუშაო ძალისა და მასალების ხარჯების) გაწევას, რომლებიც საჭიროა საქონლის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.
- მომხმარებელს უფლება აქვს, მოითხოვოს საქონლის ფასის შემცირება ან უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ არსებობს ერთ-ერთი შემდეგი პირობა:
  - ა) საქონლის შეკეთება ან შეცვლა შეუძლებელია;
  - ბ) გამყიდველმა (მოვაჭრემ) საქონელი გონივრულ ვადაში არ შეაკეთა ან არ შეცვალა და მომხმარებელმა ხელშეკრულების შესრულებისადმი ინტერესი დაკარგა;
  - გ) გამყიდველის (მოვაჭრის) მიერ საქონლის შეკეთება ან შეცვლა მომხმარებელს მნიშვნელოვან შეფერხებას შეუქმნის.
- მომხმარებელს უფლება აქვს, ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში მოითხოვოს ხელშეკრულების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- მომხმარებელს არ აქვს უფლება, უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ საქონლის ნაკლი უმნიშვნელოა.
- იმის განსაზღვრისას, თუ რამდენად არათანაზომიერია ან შეუსაბამოდ დიდია ხარჯი, გათვალისწინებული იქნება შემდეგი პირობები:
  - ა) საქონლის ან მომსახურების ფასი მისი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან შესაბამისობის შემთხვევაში;
  - ბ) საქონლის ან მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან შეუსაბამობის ხარისხი;
  - გ) საქონლის ნაკლის მომხმარებლისთვის შეფერხების შექმნის გარეშე აღმოფხვრის ალტერნატიული შესაძლებლობა.
- მომხმარებელს უფლება აქვს, ისარგებლოს ზემოხსენებული უფლებებით, თუ საქონლის ნაკლი საქონლის მისთვის გადაცემიდან 2 წლის განმავლობაში აღმოჩნდა.
- თუ მომხმარებელმა საქონლის ნაკლი საქონლის მფლობელობაში მიღებიდან 6 თვის განმავლობაში აღმოაჩინა, საწინააღმდეგოს დამტკიცებამდე იგულისხმება, რომ ნაკლი არსებობდა საქონლის მიწოდებისას, თუ, საქონლის ბუნებიდან ან ნაკლის ხასიათიდან გამომდინარე, ეს შესაძლებელია. ამ შემთხვევაში მტკიცების ტვირთი გამყიდველს (მოვაჭრეს) ეკისრება. თუ მომხმარებელმა საქონლის ნაკლი საქონლის მფლობელობაში მიღებიდან 6 თვის შემდეგ აღმოაჩინა, იმის მტკიცების ტვირთი, რომ ნაკლი არსებობდა საქონლის მიწოდებისას, მომხმარებელს ეკისრება.

22. კომერციული გარანტია:

- კონკრეტულ საქონელს/პროდუქტს კანონისმიერ გარანტიასთან ერთად შეიძლება გააჩნდეს კომერციული გარანტია, რომლის პირობები მითითებული იქნება კონკრეტული საქონლის აღწერილობაში. კომერციული გარანტია არ ზღუდავს კანონისმიერი გარანტიის პირობებს.

23. მომსახურების დაკავშირებული გარანტიები:

- ჩვენ მომსახურებას გაგიწევთ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მომსახურებაში იგულისხმება ნებისმიერი მომსახურება, რომელსაც ჩვენ გიწევთ.
- თუ ჩვენი მხრიდან ნაკლიანი მომსახურება გაგიწიეთ ან გადავაცილეთ დაპირებულ ვადას, თქვენ უნდა განგვისაზღვროთ ნაკლის აღმოფხვრის გონივრული დამატებითი ვადა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს, მომსახურების ბუნებიდან გამომდინარე

შეუძლებელია ან არათანაზომიერ ან შეუსაბამოდ დიდ ხარჯს მოითხოვს, როგორც ეს გათვალისწინებულია კანონმდებლობით.

- დამატებითი ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში თქვენ უფლება გაქვთ:
    - მოვაჭრემ თავისი ხარჯით მომსახურების გაწევა ან ნაკლის აღმოფხვრა სხვა პირს შესთავაზოს.
    - მოითხოვოთ მომსახურების ფასის ადეკვატური შემცირება.
    - უარი თქვას ხელშეკრულებაზე და მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- დამატებითი ვადის განსაზღვრა სავალდებულო არ არის, თუ აშკარაა, რომ ამას არავითარი შედეგი არ ექნება, ან ხელშეკრულების შესრულებას მომსახურების დროულად მიღებას უკავშირებთ.
- თუ მოვჭრემ დროულად არ დაიწყო მომსახურების გაწევა ან მომსახურების პროცესი უსაფუძვლოდ ჭიანურდება, რაც მომსახურების დათქმულ ვადაში გაწევას შეუძლებელს ხდის, მოვაჭრეს არ აქვს უფლება, მოითხოვოს მომსახურების პროცესში გაწეული ხარჯების ანაზღაურება, აგრეთვე გაწეული მომსახურების საზღაური, თუ მომხმარებელმა ხელშეკრულების ნაწილობრივი შესრულებისადმი ინტერესი დაკარგა.

24. პლატფორმის პასუხისმგებლობის შეზღუდვა:

- ჩვენ გარანტიას ვერ მოგცემთ, რომ პლატფორმა იქნება მუდმივად ხელმისაწვდომი ან/და ყოველთვის იმუშავებს შეფერხების გარეშე, თუმცა, პასუხს ვაგებთ პლატფორმის გაუმართაობით გამოწვეული ზიანისათვის, რომლითაც დაირღვა „მომხმარებლის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონითა და „ელექტრონული კომერციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული თქვენი უფლებები.

25. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტის წესი:

- წინამდებარე პირობები რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
- პრეტენზიის არსებობის შემთხვევაში წერილობით მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე info@inner.ge. პრეტენზიის მიღებიდან არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში ჩვენ განვიხილავთ მას და დაგიბრუნდებით უკუკავშირით.
- ნებისმიერი დავა გადაწყდება მოლაპარაკების გზით. იმ შემთხვევაში თუ მოლაპარაკება იქნება წარუმატებელი, თქვენ შესაძლებლობა გაქვთ მიმართოთ სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს (დავის შინაარსის გათვალისწინებით) ან პირდაპირ სასამართლოს.

26. კონფიდენციალობის პოლიტიკა:

- გთხოვთ, გაეცნოთ **კონფიდენციალურობის პოლიტიკას, რომელიც განსაზღვრავს** ჩვენს პლატფორმაზე თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავების წესს.

27. თაღლითობის/საეჭვო შემთხვევის დაფიქსირების წესი:

- პლატფორმის პლატფორმაზე უჩვეულო ან საეჭვო ტრანზაქციების დაფიქსირების შემთხვევაში გთხოვთ, დაუკავშირდეთ პლატფორმის კლიენტთა მომსახურების ცენტრს ან მიმართოთ პლატფორმას ელექტრონული შეტყობინების გზით **საკონტაქტო ინფორმაციის თავში** მითითებულ საკომუნიკაციო არხებზე.
- თუ თქვენ მიგაჩნიათ, რომ თქვენს პირად ანგარიშზე შესასვლელი ინფორმაცია, პაროლი ან უსაფრთხოების სხვა წვდომის კოდ(ებ)ი ან საშუალებები იქნა მოპარული, დაკარგული, უკანონოდ მითვისებული, უნებართვოდ გამოყენებული ან სხვაგვარად მითვისებული, დაუყოვნებლივ დაუკავშირდით პლატფორმის კლიენტთა მომსახურების ცენტრს. ამასთანავე, თქვენ დაუყოვნებლივ უნდა მოახდინოთ თქვენი წვდომის კოდ(ებ)ის შეცვლა და ახლით ჩანაცვლება. აღნიშნულის შეუსრულებლობის შემთხვევაში შესაძლოა საფრთხეს შეექმნას თქვენი პირადი ანგარიშის უსაფრთხოებას.

28. ცვლილებების შეტანა

- ჩვენ უფლებამოსნი ვართ, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ნებისმიერ დროს ცალმხრივად შევიტანოთ ცვლილებები წესებში და პირობებში, რომლის შესახებ დარეგისტრირებულ მომხმარებლებს ეცნობება ელექტრონული ფოსტის, მოკლე ტექსტური შეტყობინების ფორმით ან მომხმარებლის პროფილში სავალდებულოდ წასაკითხი შეტყობინების ფორმით ან პლატფორმაზე განთავსებული შეტყობინების გრაფით.